



მხარეთა თანასწორუფლებიანობა სისხლის სამართლის პროცესში

მტკიცებულებათა მოპოვებისას

ეკატერინე ზუბიტაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
ფაკულტეტზე სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბადრი ნიპარიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ეკატერინე ზუბიტაშვილი

01.07.2019

აბსტრაქტი

მოცემულ ნაშრომში განხილულია სისხლის სამართლის პროცესში მხარეების თანასწორუფლებიანობა მტკიცებულებათა მოპოვებისას. ამასთანავე, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში საგამომიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარებისას ბრალდების მხარისთვის მინიჭებული პრივილეგიები წინააღმდეგობაშია თუ არა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპთან, საქართველოს კონსტიტუციასა და საერთაშორისო სამართლებრივ აქტებთან.

მოცემული ნაშრომის მიზანია გამოავლინოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ მუხლების ნორმატიულ შინაარსში არსებული ხარვეზები, რაც დაცვის მხარეს ბრალდების მხარისგან განსხვავებით არათანაბარ პირობებში ამყოფებს. ერთი შეხედვით მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი დაცულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში. თუმცა, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში მოცემულია ერთმანეთის საწინააღმდეგო ნორმატიული შინაარსის დებულებები. მაგალითად: თუ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლი მხარეებს თანაბარ უფლებებს განუსაზღვრავს, ამავე კოდექსის 114-ე მუხლის მე-2 ნაწილი მხოლოდ ბრალდების მხარეს ანიჭებს უფლებას გამოსაკითხი პირი მოწმის სახით დაკითხოს მაგისტრატ მოსამართლესთან. აქედან გამომდინარე, პასუხი უნდა გაეცეს კითხვას ზოგიერთი საგამომიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარებისას დაცვის მხარე ხომ არ იმყოფება არათანაბარ მდგომარეობაში ბრალდების მხარესთან მიმართებით. ასევე, რამდენად არის შესაძლებელი მხარეთა თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფა მტკიცებულებათა მოპოვებისას.

კვლევის ძირითად მეთოდს წარმოადგენს ისტორიული და შედარებით-სამართლებრივი მეთოდები. ნაშრომში განხილულია სისხლის სამართლის პროცესის

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპის- მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის განვითარების ისტორია მტკიცებულებათა მოპოვებისას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობისა და საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით. ნაშრომში წარმოდგენილია სხვადასხვა ავტორთა მოსაზრებები სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა მიერ თანაბარი უფლებებით სარგებლობასთან დაკავშირებით მტკიცებულებათა მოპოვებისას.

საბოლოოდ კვლევის მიხედვით წარმოჩინდა საკანონმდებლო ხარვეზები სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში მხარეთა მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისას თანაბარი უფლებებით სარგებლობის კუთხით. კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ ყველა ის დაუსაბუთებელი ნორმა უნდა გაუქმდეს, რაც დაცვის მხარეს არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს ბრალდების მხარესთან და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა მაქსიმალურად უნდა შეესაბამებოდეს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპს მხარეთა მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისას.

სამიუბო სიტყვები: თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი; მტკიცებულება; გამოძიება; მოწმის დაკითხვა.

Abstract

The presented paper discusses the equality of parties in criminal proceedings while obtaining evidence. In addition, it considers whether the privileges granted to the prosecution side while conducting the investigative and procedural actions within the criminal procedural legislation are contrary to the adversarial principle, the principle of equality, the constitution of Georgia and various international legal acts.

The purpose of this paper is to identify the deficiencies in the normative content of the Criminal Procedural Code, which contribute to the defense side being in unequal conditions in contrast to the prosecution time. At a first glance, The adversarial principle and principle of equality are protected in the criminal procedural legislation of Georgia. However, in the criminal procedure legislation, the provisions of the normative content contradict each other. For example: If Article 9 of the Criminal Procedure Code defines equal rights, Article 114 (2) of the same Code only grants the prosecution the right to question the person with the Magistrate Judge. Therefore, the question is whether the defense side is in the unequal situation compared to the prosecution side. Also, whether it is possible to ensure the equality of the parties while obtaining evidence.

The main method of research used in the paper is mainly historical and legal comparative methods. The work deals with the historical development of the principle of equality and adversarial principle as one of the key principles of the criminal procedure in obtaining evidence in accordance with the Criminal Procedure Law of Georgia and international law. The paper presents the opinions of various authors in the process of obtaining evidence in respect of equal rights by the parties in the criminal proceedings.

Finally, according to the survey, there were legislative shortcomings in the criminal procedural legislation in terms of the enjoyment of equal rights by the parties in obtaining

evidence. Based on the research, it has been established that all unreasonable provisions should be abolished, which puts the defense side in an unequal position with the prosecution side and the criminal procedure legislation should be in compliance with the principle of equality and adversarial principle when the parties obtain evidence.

Keywords: equality and adversarial principle; evidence; investigation; questioning the witness.